

GRASS-ის დემონსტრაციის ბრიფი - კუთხის ომი უკრაინაში

15 აგვისტო - 21 აგვისტო

მიმდინარე გამოცემის თემები:

- შიშის დათესვის კამპანია საქართველოში ომის გავრცელებასთან დაკავშირებით გრძელდება
- პროპაგანდა აგრძელებს მტკიცებას, რომ რუსებს საქართველოში კარგად არ ეპყრობიან
- საქართველოს პროდასავლური კურსის დისკრედიტაცია
- რუსული პროპაგანდა ამართლებს ომს, უკრაინას ომის დანაშაულებში სდებს ბრალს და (თითქმის) ზეიმობს გამარჯვებას
- კრემლი დასავლეთში „უკრაინით გამოფიტვის“ განწყობების გაძლიერებას ცდილობს
- კრემლისტური პროპაგანდის თანახმად, სანქციები მხოლოდ დასავლეთს აზარალებს

დეზინფორმაციული ნარატივები უკრაინის ომის შესახებ საქართველოში (15-21 აგვისტო)

შიშის დათესვის კამპანია საქართველოში ომის გავრცელებასთან დაკავშირებით გრძელდება

დომინანტური პოზიცია კვლავ შეინარჩუნა გზავნილმა, რომლის მიხედვითაც, დასავლეთი და ქართული ოპოზიციური პარტიები საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნას ცდილობენ. გასული კვირის განმავლობაში პოპულარული გზავნილები საქართველოში რუსოფობიისა და დასავლეთის მიერ საქართველოში ნეოკოლონიური მმართველობის დამყარების მცდელობის შესახებ მოცემულ საანგარიშო პერიოდში შიშის დამნერგავ ნარატივს შეერწყა. კერძოდ, ამ ნარატივის ფართოდ გამავრცელებელთა მოწინავე რიგებში კვლავ იმყოფებოდა მმართველი „ქართული ოცნებიდან“ ფორმალურად გასული ოთხი დეპუტატი (ყაველაშვილი, სუბარი, ხუნდაძე და მაჭარაშვილი). თუმცა, ამჯერად, შიშის დამნერგავი კამპანია აქტიურად იყენებდა „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებასთან“ (ISFED) დაკავშირებით განვითარებულ მოვლენებს, რომლის მონაწილეობა საქართველოს ევროკავშირის

კანდიდატის სტატუსის მისაღებად საჭირო საკანონმდებლო ცვლილებებისთვის შექმნილ სამუშაო ჯგუფში „ქართულმა ოცნებამ“ დაბლოკა. ზემოხსენებული დეპუტატების [მტკიცებით](#), „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებისთვის“ მხარდაჭერის გამოცხადებით აშშ-მა პრაქტიკულად განუცხადა „ქართულ ოცნებას“, რომ საქართველოში უნდა მოხდეს რევოლუცია და მეორე ფრონტის გასახსნელად ხელისუფლებაში უნდა დაბრუნდეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“:

- პრორუსული ვებგვერდის Isari.ge მთავარი რედაქტორი, ჰამლეტ ჭიპაშვილი, [ამტკიცებდა](#), რომ აშშ-ის ელჩი საქართველოში კელი დეგნანი, მტრულად არის განწყობილი საქართველოს ხელისუფლების მიმართ 24 თებერვლიდან, როდესაც ვაშინგტონიდან ახალი, ანტირუსული დირექტივა მიიღო. მისი თქმით, აშშ-ის ელჩს უთხრეს, რომ აშშ საქართველოსგან, როგორც პარტნიორი ქვეყნისგან, მოელის ვაშინგტონის ყველა მოთხოვნის შესრულებას, მათ შორის სანქციებთან შეერთებასა და რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნას.
- „ალტ-ინფო“ [ამტკიცებდა](#), რომ დასავლეთი, განსაკუთრებით კი აშშ-ის ელჩი, რევოლუციის დაგეგმვისა და სექტემბერში ან ოქტომბერში სასამართლოს მიტაცებით ცდილობენ საქართველოს ომში ჩათრევას.

- „კონსერვატიული მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა [ზურაბ მახარაძემ](#) [განაცხადა](#), რომ ჯორჯ სოროსის მეხუთე კოლონასა და მათ მბრძანებლებს დასავლეთიდან სურთ საქართველოს ომში ჩათრევა და უკრაინის მსგავსად, ქვეყნის რუსული ჭურვებისა და რაკეტების მორიგ სამიზნედ გადაქცევა.
- ანტიდასავლური პროპაგანდის გამავრცელებელი ნანა კაკაბაძის [მტკიცებით](#), „ქართული ოცნებიდან“ გასულმა სამმა დეპუტატმა სააშკარაოზე გამოიტანა, რომ აშშ-ის საელჩო ხელისუფლებაში მოსვლაში ეხმარება ადამიანებს, რომლებსაც საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა სურთ. თუმცა, მისი მოსაზრებით, საქართველოს ხელისუფლებამ სწორი გადაწყვეტილებები მიიღო, არ დაუჯერა აშშ-ის ელჩ კელი დეგნანსა და ქვეყანას ომი თავიდან აარიდა.

პროპაგანდა აგრძელებს მტკიცებას, რომ რუსებს საქართველოში კარგად არ ეპყრობიან

პროპაგანდა კვლავ ცდილობდა ქვეყანაში დიდი რაოდენობით შემომსვლელ და დამრჩენ რუსებთან დაკავშირებით საზოგადოებაში მიმდინარე დებატების საკუთარი

მიზნებისათვის გამოყენებასა და რუსოფობიის ბრალდების კიდევ ერთხელ გაჟღერებას:

- ანტიდასავლური და პრორუსული წყაროები ამტკიცებდნენ, რომ საქართველოში [რუსოფობია](#) არსებობს და მას კამპანიური ხასიათი გააჩნია. ამას გარდა, გავრცელდა [მტკიცებები](#), რომ უარყოფით დამოკიდებულებას რუსი ტურისტების მიმართ შესაძლოა, უარყოფითი შედეგები მოჰყვეს და რუსეთთან მორიგი ომის გამოწვევის მიზეზად იქცეს. შესაბამისად, პროპაგანდისტები ცდილობდნენ ქართველების დარწმუნებას, რომ მათ სიფრთხილე გამოეჩინათ რუსი ტურისტების მიმართ დამოკიდებულებაში. პრორუსული „კონსერვატიული მოძრაობის“ ლიდერი [ამტკიცებდა](#), რომ რუსეთის მოქალაქეებზე სავიზო რეჟიმის შემოღების მოთხოვნა არის უბრალოდ პროვოკაცია, რომლის მიზანსაც წარმოადგენს დესტაბილიზაცია და აგრესია რუსების მიმართ, რამაც რუსეთს აგრესიული პასუხის გაცემა უნდა აიძულოს.

საქართველოს პროდასავლური კურსის დისკრედიტაცია

- ანტიდასავლური გამოცემები ავრცელებდნენ მტკიცებებს, რომ ევროკავშირსა და აშშ-ს საქართველოს მიმართ ნეოკოლონიური [დამოკიდებულება](#) აქვთ და ცდილობენ, საქართველოს [სუვერენიტეტი](#) შეზღუდონ იმით, რომ აიძულონ არა ხალხის, არამედ აშშ-ის სურვილების მიხედვით გადაწყვეტილებების მიღება.

[ევროკავშირსა](#) და [აშშ-ს](#) ასევე ბრალი დასდეს რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გასახსნელად ყოფილი მმართველი პარტიის, [„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“](#), ხელისუფლებაში დაბრუნებისა და სასამართლოზე კონტროლის დამყარების მცდელობაში.

- ერთ-ერთი პრორუსული Facebook-გვერდის [დასკვნით](#), მმართველი ევროპელი და ამერიკელი „კაპიტალისტების“ საფრთხისგან გადასარჩენად საქართველოს სჭირდება ისეთი ჭკვიანი მმართველი, როგორც ვლადიმირ პუტინია.
- პრორუსული გამოცემა „საქინფორმის“ [აზრით](#), საქართველო უნდა შეუერთდეს და დიდი ალბათობით, შეუერთდება კიდევაც „პ+პ“ ფორმატს და ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ნაცვლად კავკასიაზე ორიენტირებული საგარეო პოლიტიკა უნდა გაატაროს.
- „ალტ-ინფო“ [ცდილობდა](#) საზოგადოების დარწმუნებას, რომ პროდასავლური საგარეო პოლიტიკა არ არის ქვეყნისთვის სასარგებლო და ამტკიცებდა, რომ დასავლეთმა რუსეთის შემოჭრისგან საქართველოს გადარჩენა ვერ შეძლო, ისევე როგორც ვერ მოახერხა ეს უკრაინის შემთხვევაში. პირიქით, „ალტ-ინფო“ ამტკიცებდა, რომ ევროატლანტიკური მისწრაფებები საქართველოს რუსეთისგან ვერ იცავს და რუსეთთან ომიც კი გამოიწვია. „ალტ-ინფოს“ ერთ-ერთმა რესპონდენტმა 2008 წლის რუსეთ-საქართველოსა და რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომების დაწყებაში ბრალი კონკრეტულად NATO-ში ინტეგრაციის მისწრაფებებს [დასდო](#) და აბსოლუტურად უგულვებელყო მოსკოვის

იმპერიალისტური განზრახვები და მისი საზღვრების სიახლოვეს დემოკრატიული სახელმწიფოების არსებობით გამოწვეული შიშები.

რუსული პროპაგანდა ამართლებს ომს, უკრაინას ომის დანაშაულებში სდებს ბრალს და (თითქმის) ზეიმობს გამარჯვებას

გამომდინარე იქიდან, რომ უკვე დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც რუსეთი უკრაინაში წინსვლას ვეღარ ახერხებს, რუსეთის თავდაცვის მინისტრმა, სერგეი შოიგუმ, აღნიშნულის გამართლების მიზნით განაცხადა, რომ სამოქალაქო მოსახლეობაში მსხვერპლის თავიდან ასარიდებლად რუსეთის არმია იერიშის ტემპს შეგნებულად ანელებს. რუსული პროპაგანდისტული მანქანა, არაპროვოცირებული ომის გამართლების პარალელურად, შეეცადა მხარი აეხა შოიგუსთვის და განაცხადა, რომ რუსეთი იმარჯვებს და მოიგებს ამ ომს:

- „ალტ-ინფოს“ ეთერში პრორუსული „კონსერვატიული მოძრაობის“ ლიდერმა, გიორგი ქარდავამ, [განაცხადა](#), რომ პრეზიდენტ ზელენსკის განცხადებით, ევაკუაციასთან დაკავშირებული დანახარჯებიდან გამომდინარე, უკრაინამ შეგნებულად დატოვა მშვიდობიანი მოსახლეობა ქალაქებში, მიუხედავად იმისა, რომ ფლობდა ინფორმაციას გარდაუვალი თავდასხმის შესახებ. მისი თქმით, რუსეთმა უკრაინის საპირისპიროდ იმოქმედა და თავდაპირველად

ქალაქების ევაკუაცია განახორციელა. გიორგი ქარდავას დასკვნით, უკრაინამ შეგნებულად დატოვა სამოქალაქო პირები მსოფლიოსთვის მსხვერპლის მაღალი რაოდენობის საჩვენებლად და ამით ქარდავამ მიანიშნა, რომ უკრაინის ხელისუფლებას მშვიდობიანი მოსახლეობის ბედი არ ადარდებს.

- პრორუსულმა Facebook-გვერდმა [გამოაქვეყნა](#) ვიდეო, რომელზეც ადამიანების ჯგუფი ფიზიკურად უსწორდება ქალს. პროპაგანდისტული Facebook-გვერდის თანახმად, აღნიშნული წარმოადგენს ერთ-ერთ მაგალითს, თუ როგორ ჩაგრავდნენ უკრაინელები რუსულ უმცირეობას. გვერდმა ასევე გაიმეორა მტკიცება, რომ ვლადიმირ პუტინი უკრაინის მიწაზე საკუთარ ხალხს იცავს, ხოლო ყირიმი არასოდეს ყოფილა და იქნება უკრაინის ნაწილი. პროპაგანდისტულმა გვერდმა დაასკვნა, რომ ამერიკული და ევროპული ნაციზმის დამარცხება გარდაუვალია.
- პრორუსული „ტაო ნიუს“-ის რედაქტორის, ნიკოლოზ მჟავანაძის, [განცხადებით](#), ფაქტი რომ რუსეთს ჯერ არ დაუპყრია უკრაინა არ ნიშნავს, რომ რუსეთის ჯარი ომში მარცხდება. აღნიშნულის საპირწონედ, მან გაიხსენა, რომ საბჭოთა კავშირს მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან შვიდი წელიწადი დასჭირდა უკრაინაზე კონტროლის დასამყარებლად.
- „ალტ-ინფოს“ ეთერში, პრორუსულად განწყობილმა და წარსულში ლალატისთვის ნასამართლევმა ტრისტან წითელაშვილმა, უკრაინაში არაპროვოცირებული შეჭრის გასამართლებლად [განაცხადა](#), რომ რუსეთი

უკრაინაში ატარებს თავდაცვით ოპერაციას ბიოლოგიური იარაღის საფრთხის გასაწეიტრალეზლად. მან ასევე გაიმეორა, რომ უკრაინელები რუსულენოვან უმცირესობას წლების მანძილზე ავიწროვებდნენ. „ალტ-ინფოს“ ორი სხვა რესპონდენტი, პრორუსული „კონსერვატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი რეგიონული განყოფილების ხელმძღვანელი [სიმონ ჩაჩანიძე](#) და ცნობილი ულტრამემარჯვენე ანტიდასავლური აქტივისტი [ალექსანდრე ფალავანდიშვილი](#) ასევე ამტკიცებდნენ, რომ ომის გამომწვევ მიზეზს უკრაინელების ფაშიზმი და რუსების ჩაგვრა წარმოადგენდა; ხოლო პრორუსული „პატრიოტი TV“-ს დირექტორმა, გიორგი ირემადემ, [განაცხადა](#), რომ უკრაინის მხრიდან არა მხოლოდ დონეცკისა და ლუჰანსკის, არამედ როსტოვის დამბომბვაც იყო მიზეზი, თუ რატომ დაიწყო რუსეთმა „სპეციალური ოპერაცია“ უკრაინის გასათავისუფლებლად. ომის პროვოცირებაში აშშ კიდევ ერთმა Facebook-გვერდმა [დაადანაშაულა](#), ხოლო Facebook-გვერდი „სექტა“ აღნიშნული გზავნილი [განავრცელ](#) და განაცხადა, რომ აშშ-მა ეს პროცესი 2013-2014 წლებში დაიწყო, რითაც „ღირსების რევოლუციის“ ფაქტორზე ხაზგასმა სცადა.

- პრორუსმა ჟურნალისტმა, ზაზა დავითაიამ და წარსულში ლალატისთვის ნასამართლევემა თადარიგის ოფიცერმა, ტრისტან წითელაშვილმა, [გაავრცელეს](#) ცრუ ბრალდებები, თითქოს უკრაინამ დონეცკში მდებარე ციხე და იქ მყოფი აზოვის ბატალიონის სამხედრო ტყვეები დაბომბა, რათა მათ ომის

დანაშაულები არ ეღიარებინათ. ისინი ასევე ამტკიცებდნენ, რომ რუსები სამხედრო ტყვეებს საერთაშორისო კონვენციების შესაბამისად ეპყრობიან, უკრაინელები კი ტყვედ ჩავარდნილ პირებს აწამებენ.

- პრორუსულმა Facebook-გვერდმა უკრაინა აშშ-ის მიწოდებული რაკეტებით ზაპოროჟიას ატომური ელექტროსადგურის დაბომბვაში [დაადანაშაულა](#) და განაცხადა, რომ აღნიშნული მიუთითებდა უკრაინის განზრახვაზე, სერიოზული ზიანი მიეყენებინა ევროპის უდიდესი ატომური ელექტროსადგურისთვის.
- Facebook-გვერდი „სექტა“ [ამტკიცებდა](#), რომ რუსეთი საბოლოოდ მაინც მიაღწევს საკუთარ მიზნებს და უკრაინა სამუდამოდ დაკარგავს დონბასსა და ყირიმს, თუმცა უკრაინელებმა შესაძლოა მაინც იზეიმონ ეს მარცხი და განაცხადონ, რომ მათ მარიუპოლი და ხერსონი დაიბრუნეს.
- პრორუსულმა Facebook-გვერდმა [გამოაქვეყნა](#) უკრაინელი სამხედრო ტყვეების ამსახველი ვიდეო და „რუს ძმებს“ მეტი მსგავსი წარმატება უსურვა.
- პროპაგანდისტმა „ექსპერტმა“, დემურ გიორხელიძემ, [გააჟღერა](#) გზავნილი, რომ აშშ უკრაინას ინსტრუმენტად იყენებდა როგორც რუსეთის, ისე ევროპაში თანამშრომლობის წინააღმდეგ.

კრემლი დასავლეთში „უკრაინით გამოფიტვის“ განწყობების გაძლიერებას ცდილობს

უკრაინა იმედიანად არის განწყობილი ხერსონის ასაღებად იერიშის დასაწყებად და ახალ მიმართულებებზე წარმატებულ კონტრშეტევების [განსავითარებლად](#). თუმცა, უკრაინა აცნობიერებს იმას, რასაც ქვეყნის თავდაცვის მინისტრმა რეზნიკოვმა საერთაშორისო თანამეგობრობის „გამოფიტვის სინდრომი“ უწოდა, ანუ დასავლეთის მხრიდან უკრაინის სამხედრო და ფინანსური მხარდაჭერით უზრუნველყოფის განგრძობადობა და რუსეთზე ეკონომიკური ზეწოლის შენარჩუნება, რომლის შესაძლო შეწყვეტასაც კიევი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საფრთხედ აღიქვამს. კრემლისტური პროპაგანდა ცდილობს აღნიშნული „გამოფიტვის სინდრომი“ გაამძაფროს და ამით უკრაინისთვის შეიარაღების მიწოდება შეაფერხოს:

- „ალტ-ინფო“ კითხვის ნიშნის ქვეშ [დააყენა](#), თუ რამდენ ხანი მოახერხებდა დასავლეთი უკრაინისთვის შეიარაღების მიწოდებასა და დახმარების გაწევას, რაც გულისხმობს ქვეყნის გამოკვებასა და უკრაინის სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების უზრუნველყოფას. „ალტ-ინფო“ ამტკიცებდა, რომ აღნიშნულის პროგნოზირება რთულია, თუმცა არსებული გათვლებით დასავლური დახმარება ახალ წლამდე გაგრძელდება და შემდეგ დასავლეთი პრობლემების წინაშე აღმოჩნდება. პრორუსულმა მედიამ ასევე დაასკვნა, რომ ამ პერიოდის

შემდგომ სამხედრო თვალსაზრისით დახმარება შეუძლებელი იქნება და ვერავინ შეძლებს მსგავსი მასშტაბის ძალისხმევის გაგრძელებას.

- პრორუსული „ტვ ობიექტივის“ ეთერში თოქ-შოუს მონაწილეები [ამტკიცებდნენ](#), რომ დასავლური სახელმწიფოები თავიდან იშორებენ ძველ შეიარაღებას და მას უკრაინაზე ახალი შეიარაღების ფასად ჰყიდიან. მათი მტკიცების თანახმად, უკრაინა აღნიშნულ შეიარაღებას სესხად აღებული თანხით ყიდულობს და სწორედ ამიტომ სამმა ამერიკულმა კორპორაციამ უკრაინაში ყველაზე ნაყოფიერი მიწები შეიძინა.
- ერთ-ერთ პროპაგანდისტულ Facebook-გვერდს განსხვავებული მოსაზრება გააჩნდა და [ამტკიცებდა](#), რომ ომით აშშ სარგებლობს, რადგან რუსეთი სუსტდება და ევროპა უკრაინისთვის სამხედრო დახმარების მიწოდებით ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით იფიტება. პროპაგანდისტული გვერდის თანახმად, აშშ-ს არ ადარდებს უკრაინის განადგურება, რადგან ომი რუსეთს დაასუსტებს და აშშ-ს მისცემს ბალტიური სახელმწიფოებისა და პოლონეთის ხელით მოსკოვის განადგურებისა და ევროპის შესუსტების შესაძლებლობას, რითაც ამ უკანასკნელს აშშ-ზე დამოკიდებულად გადააქცევს.

კრემლისტური პროპაგანდის თანახმად, სანქციები მხოლოდ დასავლეთს აზარალებს

პროპაგანდა ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის მტკიცება რომ სანქციები მხოლოდ დასავლეთს აყენებს ზიანს, ასევე ენერგოკრიზისის გაზვიადებულად წარმოჩენა, კვლავ წარმოადგენდა განგრძობად ტენდენციას და გამოირჩეოდა ჯამური ინტერაქციების სიმრავლით:

- პრორუსული „კონსერვატიული მოძრაობის“ ლიდერი, გიორგი ქარდავა, [ამტკიცებდა](#), რომ დასავლეთი სოციალურ და ეკონომიკურ კრიზისშია. მისი თქმით, ზამთარში ბუნებრივი აირის საფასური გაორმაგდება და შესაბამისად, გერმანიას შესაძლოა შეშის გამოყენებაზე გადასვლა მოუწიოს.
- ყოფილმა დეპუტატმა და ამჟამად, ლევან ვასაძესთან დაკავშირებულმა პირმა, ხათუნა ხოფერიამ, [გამოაქვეყნა](#) Facebook-პოსტი, სადაც ამტკიცებდა, რომ გერმანელები ელექტროენერჯისა და წყლის დაზოგვის მიზნით შხაპის ნაცვლად სველ ჩვარს იყენებენ.
- ერთ-ერთმა პრორუსული Facebook-გვერდმა [განაცხადა](#), რომ რუსული ეკონომიკა არ დაზარალებულა და პირიქით იზრდება, მაშინ როდესაც ევრო და დოლარი მუდმივად უფასურდება.



ანგარიში მომზადდა „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ (GRASS) მიერ „პარტნიორობა ღია ინფორმაციისთვის“ (Open Information Partnership (OIP)) მხარდაჭერით. ანგარიში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა არ გამოხატავდეს OIP-ის პოზიციებს.